საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიზო უბილავას კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის გიზო უბილავას წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის N1/4 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის N1/10 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა გიზო უბილავა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2024 წლის 29 აპრილს შეკადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის გიზო უბილავას შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის 34[2] მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, გიზო უბილავას მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენას. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ გიზო უბილავა სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მაქსიმალური 100 ქულიდან შევაფასე - 93 ქულით, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 93%-ს შეადგენს.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1378 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 91,87% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით საბჭოს ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით გიზო უბილავამ დაიკავა მე-3 პოზიცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 21 მაისის N1/23 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი, მათ შორის - გიზო უბილავა.

ამრიგად, 2024 წლის 30 მაისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამეტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირე გიზო უბილავას, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ იგი მისი ცოდნის, კომპეტენციის პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით, ღირსეულად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის დაკისრებულ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

30 მაისი, 2024 წელი